გამარჯვება ლიდერთან

თბილისი. ვ.ი. ლენინის სახელობის "დინამოს" სტადიონი. 1 აპრილი.

"დინამო" (თბილისი) – "სპარტაკი" (მოსკოვი) 3:1 (2:0).

"დინამო": გაბელია, კოსტავა (ჭილაია), ჩივაძე, ხიზანიშვილი, თავაძე, დარასელია, სვანაძე, სულაქველიძე, გუცაევი (ჯოხაძე), ყიფიანი, ჟვანია.

"სპარტაკი": დასაევი, კალაშნიკოვი, მირზოიანი, მოროზოვი, შვეცოვი, შავლო, როდიონოვი (სოჩნოვი), გესი, გავრილოვი, ჩერენკოვი, სიდოროვი (ორგუდიაევი).

მსაჯი: პოლიკანოვი (ლენინგრადი).

მოსკოვის "სპარტაკი" სულ ახლახან ორჯერ ვიხილეთ ჩვენს სტადიონზე, ჯერ თბილისის "დინამოსთან" საწვრთნელ მატჩში, მერე კი მადრიდის "რეალთან" ჩემპიონთა თასზე. პირდაპირ უნდა ითქვას, საწვრთნელ თამაშში სპარტაკელები საკუთარ თავს არა ჰგავდნენ, მათ ძალიან სუსტად ითამაშეს და დიდი ანგარიშით წააგეს.

მას შემდეგ დიდი დრო არ გასულა, მაგრამ "სპარტაკმა" იგი მაქსიმალურად გამოიყენა და გუშინ თბილისის "დინამოსთან" ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატის კალენდარულ მატჩში ლიდერის როლში მოგვევლინა. ლიდერთან თამაში კი, მოგეხსენებათ, ძალზე ძნელია. იგი მობილიზებულია მუდამ.

თბილისელები მსაჯის სასტვენისთანავე შეტევაზე გადავიდნენ. ბურთი მარჯვენა ფლანგზე მიიღო გუცაევმა, გვერდი აუარა მცველს, მაგრამ იგი წააქცია გესმა. რამდენიმე წამის შემდეგ გუცაევი კვლავ გარღვევაზე გავიდა. მის წინააღმდეგ ახლა აკრძალულ ილეთს მიმართა გავრილოვმა.

ჩვენ ზუსტად აღვნუსხეთ ის დარღვევები, რომლებიც სპარტაკელებს ჰქონდათ პირველი 15 წუთის მანძილზე. ინიციატივა დინამოელებს ეპყრათ, მათი მეტოქე კი უმეტესად იმით იცავდა თავს, რომ სხვადასხვა საშუალებით აფერხებდა მოპირდაპირე თავდამსხმელთა წინსვლას. ჯერ მიწაზე აღმოჩნდა ჟვანია, შემდეგ, ყიფიანი, ისევ გუცაევი, სვანაძე, ისევ ყიფიანი…

ფეხბურთში ამას ჰქვია "მცირე ფოლის" ტაქტიკა, რომელსაც საკმარისზე უფრო მეტ შემთხვევაში მიმართავდნენ ამ მატჩში სპარტაკელთა მცველები. სტუმრებმა ორ–სამჯერ სცადეს გრძელი გადაცემით განეხორციელებინათ კონტრშეტევა, მაგრამ თბილისელთა დაცვა ორგანიზებულად მოქმედებდა. სათავეშივე "კითხულობდა" მოპირდაპირის სავარაუდო კომბინაციათა მსვლელობას და ზუსტად ასწრებდა ბურთის მოგერიებას. მსაჯმა რამდენიმეჯერ სიტყვიერი შენიშვნა მისცა დამრღვევებს, მაგრამ ყვითელი ბარათის ჩვენებას მოერიდა და სტუმრებიც კვლავ განაგრძობდნენ წესების დარღვევას დინამოელთა შეტევებისაგან თავის დასაცავად.

არა გვგონია, რომ ეს "სპარტაკის" ხელწერაა, და ამ იძულებით დარღვევებსაც არ შეეძლოთ დიდი ხნით ეხსნათ გუნდი. 25–ე წუთზე, თბილისელთა მორიგი იერიშისას ბურთმა კარგა ხანს იტრიალა მოსკოველთა საჯარიმო მოედნის სიახლოვეს, შემდეგ მიუვიდა ყიფიანს და ამ უკანასკნელმა შესანიშნავად შეასრულა გადამწყვეტი დარტყმა, ისე, რომ დასაევის თავგანწირული ნახტომი ვერაფერს უშველიდა: ბურთი "ცხრიანში" მოხვდა – 1:0.

გავიდა კიდევ 2 წუთი. თბილისელები მარჯვენა ფლანგიდან უტევენ. სანამ დასაევი რამეს მოიმოქმედებდა, კარგად მოწოდებულ ბურთს ყიფიანმა თავით სწრაფად შეუცვალა

მიმართულება და “სპარტაკს” მეორედ მოუხდა თამაშის დაწყება ცენტრიდან – 2:0.

ასეთ ვითარებაში მოსკოველებს პირვანდელი ტაქტიკა არ გამოადგებოდათ, ამიტომ სცადეს იერიშზე გადასვლა, თუმცა საწადელს ვერ მიაღწიეს: “არ ჩანდნენ” არც გავრილოვი, არც ჩერენკოვი, არც სიდოროვი.

შესვენების შემდეგ რამდენიმეჯერ საუკეთესოდ ითამაშა სვანაძემ, მერე, 51–ე წუთზე, ჟვანიამ მარცხენა ფლანგიდან შეუტია და დაბალი ბურთი ზუსტად გაგზავნა ბადეში – 3:0.

მიუხედავად ასეთი ანგარიშისა, “სპარტაკმა” არ დაყარა ფარხმალი და 72–ე წუთზე კუთხურიდან მოწოდებული ბურთი შვეცოვმა თავით გაიტანა გაბელიას კარში.

თბილისის “დინამომ” დამაჯერებელი გამარჯვება მოიპოვა ჩემპიონატის ლიდერთან.

მატჩის დამთავრების შემდეგ კომენტარი ვთხოვეთ სსრ კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ნესტორ ჩხატარაშვილს.

– რა თქმა უნდა, ჩვენმა გუნდმა მობილიზებულად, აქტიურად, კოლექტიურად ჩაატარა მატჩი. გამარჯვება იოლი არ იყო, მაგრამ მის კანონზომიერებაში ეჭვი არავის შეეპარება. დინამოელები განსაკუთრებით აქტიურნი იყვნენ იმ პერიოდში, როცა ყიფიანი შეტევის რგოლში მოქმედებდა და განუწყვეტლივ ხიფათს უქმნიდა მოწინააღმდეგის კარს, შემდგომში მან უკან დაიხია, თუმცა ჯობდა კვლავ დარჩენილიყო წინა ხაზზე და მინდვრის სიღრმე სულაქველიძისთვის დაეთმო. მცირეოდენი გამონაკლისის გარდა თბილისის “დინამომ” ეს მატჩი ჩინებულად ჩაატარა.

სპარტაკელები ვერაფერს გახდნენ. მათ მიმართ ასეთი შენიშვნა მაქვს: სადაური მცველია შვეცოვი? დაცვაში მან ვერაფერი გააკეთა, მაგრამ საკმარისი იყო წინ გადმოსულიყო და გუნდის შეტევის აქტიურობაც მაღლდებოდა.

ბ. ქორქია.

“ლელო”, 8 აპრილი 1981 წ.